ევროკავშირი საქართველოსთვის

NETHERLANDS HELSINKI COMMITTEE

Hertie School
Executive Education

GEORGIAN DEMOCRACY INITIATIVE

შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის მეთოდოლოგია

2023

შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის მეთოდოლოგია

2023

დოკუმენტი მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH): www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT ქსელი - SOS-წამება): www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი: www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC): www.coalitionfortheicc.org

მისამართი:
0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge
ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების: www.humanrights.ge
ვებ-საიტი: www.hrc.ge

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

სარჩევი	2
შესავალი	3
I. შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგი	4
II. მონიტორის ანგარიშები	5
III. ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან	6
IV. ადვოკატირება: შეხვედრები საჯარო მოხელეებთან	7
V. ცნობიერების ამაღლება	7
1. მონიტორინგის ad hoc ანგარიშები	7
2. მონიტორინგის შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშები	9
VI. უსაფრთხოების წესები მონიტორებისთვის	10
a. ფიზიკური უსაფრთხოება	10
b. ციფრული უსაფრთხოება	13
c. ფსიქო-სოციალური უსაფრთხოება	14

შესავალი

პროექტის ფარგლებში - „**ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობის გაძლიერება საქართველოში**“ - ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება შეკრებებსა და მანიფესტაციებს და უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას როგორც საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების, ისე მათი მიმდინარეობისას სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული ქმედებების ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

2020 წელს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) ექსპერტებმა ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებისთვის გამართეს სატრენინგო კურსი შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის შესახებ.[1] ადამიანის უფლებათა ცენტრი აქციების მონიტორინგს ეუთოს სტანდარტების შესაბამისად ახორციელებს და, ამდენად, მონიტორინგის მეთოდოლოგიის გარკვეული ნაწილები ეყრდნობა ეუთოს მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო პრინციპებს აქციების მონიტორინგის შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, საქართველოში აქციების მონიტორინგში ჩართულ სამოქალაქო საზოგადოების წევრებს გაუზიაროს მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აკვირდებიან მიმდინარე შეკრებებსა და მანიფესტაციებს. დოკუმენტი ასევე, მოიცავს ინფორმაციას საზოგადოებაში შეკრების თავისუფლების შესახებ ცნობიერების ამაღლების გზების შესახებ და მონიტორების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მისაღებ ზომებთან დაკავშირებულ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

[1] იხ.: HumanRights.ge, *სატრენინგო კურსი შეკრების და მანიფესტაციების მონიტორინგის შესახებ,* 28 თებერვალი 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Qmse8R [27.11.2023].

I. შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგი

შეკრების თავისუფლება ერთ-ერთი ისეთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელსაც შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მოვლენებზე. ამდენად, დემოკრატიული სახელმწიფოს დამკვიდრებისა და შენარჩუნების მიზნით, მნიშვნელოვანია, მაღალ დონეზე იყოს დაცული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ საკუთარი აზრის ღიად, საჯაროდ დაფიქსირება - როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად.

სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მონიტორინგი საპროტესტო აქციებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა დარღვევის იდენტიფიცირებისა და დოკუმენტირებისთვის. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უფლებადამრღვევთა გამოაშკარავებას, მათი პასუხისგებაში მიცემისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმას და შემდეგში - უფლებადარღვევების პრევენციას. სწორედ ამიტომ, ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება საქართველოში მიმდინარე შეკრებებსა და მანიფესტაციებს, ახდენს მათი მსვლელობისას მომხდარი ფაქტების დოკუმენტირებას, გამოსცემს ანგარიშებს საზოგადოების ინფორმირების და ცნობიერების ამაღლების მიზნით და ასევე, ჩართულია ადვოკატირებაში შეკრებისა და გამოხატვის უფლების დაცვის სტანდარტის ამაღლების მიზნით.

ვინაიდან აქციების მონიტორინგი, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა გარკვეულ რისკებთან იყოს დაკავშირებული, აუცილებელია ორგანიზაციის იმ თანამშრომლების წინასწარ მომზადება, რომლებიც აქციების მონიტორინგში არიან ჩართულნი; ასევე - შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება, ერთი მხრივ, მონიტორინგის ეფექტურად განსახორციელებლად, ხოლო მეორე მხრივ - მონიტორების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ქვემოთ განხილული იქნება ის საკითხები და პრაქტიკული რჩევები, რომლებიც სამოქალაქო ორგანიზაციებმა და, უფრო კონკრეტულად - მონიტორებმა უნდა გაითვალისწინონ საპროტესტო აქციებზე დაკვირვებისას.

II. მონიტორის ანგარიშები

მონიტორინგის განხორციელებამდე, ყოველი აქციის წინ, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები წინასწარ იძიებენ ინფორმაციას დაგეგმილი შეკრებების შესახებ და, ღია წყაროების მეშვეობით, აწარმოებენ კვლევას აქციასთან დაავშირებით პოტენციური რისკების შესაფასებლად. აქციების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციას მონიტორები სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის - მედიიდან, სოციალური ქსელიდან (Facebook და სხვა) იღებენ, სადაც ორგანიზატორები დაგეგმილი აქციების შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ. ამავე წყაროების გამოყენებით, შესაძლებელია, გაირკვეს - არის თუ არა დაანონსებული კონტრაქცია და რამდენად არის მოსალოდნელი ორი აქციის მონაწილეთა შორის დაპირისპირება.

უშუალოდ მონიტორინგის განხორციელებისას, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები, წინასწარ შედგენილ კითხვარზე დარდნობით, აგროვებენ დეტალურ ინფორმაციას აქციაზე მიმდინარე მოვლენების შესახებ, აღწერენ როგორც აქციის მონაწილეების, ისე პოლიციის თანამშრომლების ქმედებებს და აღნუსხავენ სავარაუდო უფლებადარღვევებს. ეს და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია აისახება **მონიტორის ანგარიშში**, რომელსაც მონიტორები ადგენენ საველე სამუშაოს შესრულების შემდეგ.

ასეთი ანგარიშების მიზანია გუნდისთვის ინფორმაციის გაზიარება და აქციების მიმდინარეობისას განვითარებული მოვლენების შესახებ ამომწურავი ინფორმაციისთვის ერთ დოკუმენტში თავმოყრა.

მონიტორებისთვის შედგენილი კითხვარები ეხება, მათ შორის, შემდეგ საკითხებს:

- მოვლენების ქრონოლოგია;
- შეკრების მასშტაბი და მონაწილეთა დემოგრაფია;
- შეკრების სპეციფიკური ელემენტები;
- შეკრების ძირითადი მესიჯები;
- მედიის დაშვება და ადგილზე ყოფნა;
- პოლიციის თანამშრომელთა ქცევები: პრევენციული აქტივობები, დაკავებები, ძალის გამოყენება ანდა სხვა საპოლიციო ზომები;
- პოლიციის შეიარაღება და ჩამწერი/სათვალთვალო მოწყობილობები;
- პოლიციელების იდენტიფიცირებადობა;

ამ და დანარჩენ მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად, მნიშვნელოვანია, მონიტორის ანგარიშშივე აღიწეროს - იყო თუ არა აქცია სპონტანური და რა

გზით/როდის გავრცელდა ინფორმაცია მისი ორგანიზების შესახებ და სხვა რელევანტური გარემოებები.

გარდა ამისა, მონიტორები ახდენენ აქციებზე განვითარებული მოვლენების ფოტო და ვიდეოდოკუმენტირებას და შესაბამის მასალებს თან ურთავენ შიდა ანგარიშს. ფოტოები აქციის მიმდინარეობის სხვადასხვა მონაკვეთებში უნდა იყოს გადაღებული და მათზე ნათლად იყოს ასახული მოვლენების ქრონოლოგია. მონიტორების ანგარიშებს, ასევე, თან ერთვის ბმულები მედია წყაროებიდან. მათ შორის, შესაძლოა, იყოს როგორც ანონსები, ისე პირდაპირ ეთერში გაშუქება ან *ex post* მომზადებული რეპორტაჟი. მნიშვნელოვანია, რომ ბმულებზე არსებული ინფორმაცია ვერიფიცირებული იყოს და მონიტორები მხოლოდ ფაქტობრივად ზუსტ წყაროებს დაეყრდნონ. მონიტორების ანგარიშებში მედიაგაშუქებების კომპონენტის არსებობა მონიტორებს ეხმარება დამატებითი ინფორმაციის მოპოვებასა და ფაქტების გადამოწმებაში.

მონიტორების მიერ აქციებზე დაკვირვების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას იურისტ-ანალიტიკოსი იყენებს მონიტორინგის მოკლე ანგარიშებში შესაძლო უფლებადარღვევების გასაანალიზებლად და სამართალდამცავი ორგანოების ქმედებათა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესაფასებლად. საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული მთავარი მიგნებები და რეკომენდაციები შესაბამისი ორგანოებისადმი აისახება აქციების მონიტორინგის შუალედურ და შემაჯამებელ ანგარიშებში.

III. ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან

აქციების მონიტორინგის მეთოდოლოგიის ერთ-ერთ კომპონენტად, ადამიანის უფლებათა ცენტრი იყენებს სამოქალაქო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების და საჯარო დაწესებულებების პასუხისმგებელ პირებთან, საჯარო მოხელეებთან ინტერვიუებს, რომელთა ჩაწერა ხდება წინასწარ შედგენილი სამუშაო კითხვარის საფუძველზე. ასეთი ინტერვიუები იძლევა უშუალოდ აქციების მონაწილეების, სიტყვით გამომსვლელების და ორგანიზატორების მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამატებით მიღების და მათი არგუმენტირებული მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობას; ინტერვიუების გზით, ორგანიზაცია იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხარვეზები გამოვლინდა აქციების დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესში. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა პასუხები აქვთ საჯარო მოხელეებს აქციების

ორგანიზების თაობაზე ან ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით.

წინასწარ შემუშავებულ ზოგად კითხვარებზე დაყრდნობით ჩატარებული ინტერვიუები იძლევა შესაძლებლობას, უფრო საფუძვლიანად და სრულყოფილად შეფასდეს ქვეყანაში შეკრების თავისუფლების დაცვის დონე და გამოიკვეთოს ის პრობლემები, რომლებსაც მონაწილეები ანდა ორგანიზატორები აწყდებიან საპროტესტო აქციების დაგეგმვისას, ან მათი მიმდინარეობის პროცესში.

IV. ცნობიერების ამაღლება

მონიტორების ანგარიშებსა და დაინტერესებულ მხარეებთან ნაწერილი ინტერვიუების მთავარ მიგნებებზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ცენტრი აქვეყნებს ანგარიშებს საზოგადოების ინფორმირებისა და ადვოკატირების მიზნით. იმისათვის, რომ ანგარიშებში სრულად იყოს ასახული ინფორმაცია კონრეტული შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ, ადამიანის უფლებათა ცენტრი, დამატებით, ითხოვს საჯარო ინფორმაციას შესაბამისი უწყებებიდან. ეს მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც, შესაძლოა, ასევე, მიუთითებდეს შესაბამისი ორგანოების მზაობაზე თანამშრომლობისთვის. იმ შემთხვევაში, თუკი პასუხისმგებელი ორგანო უარს იტყვის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, ანგარიშებში ხდება ამაზე მითითებაც.

ადამიანის უფლებათა ცენტრი გამოსცემს სამი ტიპის ანგარიშს: მოკლე საჯარო (ad hoc) ანგარიში, მონიტორინგის შუალედური ანგარიში, მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში. მათგან თითოეულის სპეციფიკა ქვემოთ იქნება განხილული.

1. მონიტორინგის მოკლე საჯარო (*ad hoc*) ანგარიშები

გარდა უშუალოდ მონიტორინგის განხორციელებისა, მნიშვნელოვანია, საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია მონიტორინგის მიგნებების შესახებ. ამ მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრი მონიტორინგის მიმდინარეობისას აქვეყნებს მოკლე ანგარიშებს და აწარმოებს ცნობიერების ამაღლების კამპანიას და უზუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას როგორც საკუთარ ონლაინ პლატფორმებზე, ისე ადგილობრივ მედიაში მათ გაშუქებას - მედიის სხვადასხვა წარმომადგენლებისთვის პრესრელიზების გაგზავნისა და ინტერვიუების მიცემის გზით.

მონიტორინგის მოკლე ანგარიშები იქმნება მონიტორების ანგარიშებზე დაყრდნობით და მოიცავს იმის სამართლებრივ ანალიზს, თუ რამდენად შეესაბამება აქციის დროს პოლიციის ქმედებები საერთაშორისო სტანდარტებს და ეროვნულ კანონმდებლობას.

გარდა მონიტორების შიდა ანგარიშებისა, მონიტორინგის **მოკლე საჯარო ანგარიშებზე** მუშაობისას შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა. ასეთ დროს, ორგანიზაცია ოფიციალური წერილით მიმართავს შესაბამის უწყებას, რათა გამოითხოვოს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად დაცული იყო აქციის ორგანიზებისას და ჩატარებისას კანონმდებლობის ფორმალური ასპექტები - მაგალითად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში წინასწარი გაფრთხილების შეტანა გზის შესაძლო გადაკეტვის შესახებ - ანდა სხვა დეტალები, რომლებიც საჭიროა მოკლე ანგარიშში ინფორმაციის სრულყოფილად წარმოსაჩენად. იმ შემთხვევაში, თუკი ადრესატი პასუხს არ აბრუნებს ან კონკრეტული მიზეზის გამო უარს ამბობს მის გაცემაზე, მონიტორინგის ანგარიშში საჭიროა მოხდეს ამ ფაქტის ასახვაც.

იმისათვის, რომ ცნობიერების ამაღლების კამპანია ეფექტური იყოს, საჭიროა პროცესში მედიის ჩართულობის უზრუნველყოფა. მაგალითად, გარდა ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში ანგარიშების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისა, ადამიანის უფლებათა ცენტრი, ასევე, უზრუნველყოფს მათ გავრცელებას ადგილობრივ მედიაში. კერძოდ, მედიის წარმომადგენლებს - ისევე როგორც ორგანიზაციის პარტნიორებსა და გარე დაინტერესებულ მხარეებს - პრესრელიზების სახით მიეწოდებათ ინფორმაცია გამოქვეყნებული ანგარიშების შესახებ, რის შემდეგაც, მედიის მხრიდან ინტერესის არსებობის შემთხვევაში, ცენტრის შესაბამისი თანამშრომლები აკეთებენ კომენტარებს რეპორტაჟებისა და პირდაპირი ეთერებისთვის. მედიაგაშუქებების კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად იმ დარღვევებისა თუ სხვა მიგნებების შესახებ, რაც გამოიკვეთა აქციებზე დაკვირვების შედეგად. ეს კი, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებით.

2. მონიტორინგის შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშები

მეთოდოლოგიის ყველა იმ სხვადასხვა კომპონენტებზე დაყრდნობით, რაც ზემოთაა მიმოხილული, ადამიანის უფლებათა ცენტრი ყოველ საანგარიშო წელს ამზადებს ერთ

შუალედურ და ერთ **შემაჯამებელ ანგარიშს**, რომლებსაც აქვეყნებს და აცნობს საზოგადოებას.

ორივე ანგარიშის მომზადების პროცესში მნიშვნელოვანია ანალიტიკოსის როლი, რომელიც ეცნობა და აანალიზებს მონიტორების ანგარიშს თითოეული აქციის შემდეგ. მის ფუნქციებში, ასევე, შედის უწყებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის, სხვადასხვა აქტორებთან ჩაწერილი ინტერვიუებიდან, მედიიდან და სხვა ღია წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი. ყოველივე ამაზე დაყრდნობით, იგი ამზადებს აქციების მონიტორინგის შუალედურ და შემაჯამებელ ანგარიშებს, რომელთა მიზანიცაა საზოგადოების ინფორმირება და, შემდგომში - ადვოკატირება საჯარო უწყებების წარმომადგენლებთან, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში შეკრების თავისუფლების დაცვის ხარისხის ამაღლებას.

ორივე ანგარიშიები ასახავდს იმ მთავარ მიგნებებს, რაც გამოიკვეთა საანგარიშო პერიოდში. მაგალითად, დაფიქსირდა თუ არა პოლიციის მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტები ანდა პროცედურული დარღვევები, შეესაბამებოდა თუ არა სამართალდამცავი ორგანოების ქმედებები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს და ეროვნულ კანონმდებლობას. გარდა ამისა, შემაჯამებელი და შუალედური ანგარიშების ანალიტიკური ნაწილი მოიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მონიტორებმა მოიპოვეს შესაბამის აქტორებთან შეხვედრებისა და ინტერვიუების ჩაწერის შედეგად.

მნიშვნელოვანია, რომ შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშები, ასევე, შეიცავდეს რეკომენდაციებს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისადმი: გამომდინარე დარღვევის ტიპისგან და იმის გათვალისწინებით, თუ ვის ევალება დარღვევაზე რეაგირება, რეკომენდაციები უნდა მიემართებოდეს კონკრეტულ, იდენტიფიცირებად ადრესატს. სასურველია, ასეთი რეკომენდაციები იყოს მაქსიმალურად სპეციფიკური.

შემაჯამებელი ანგარიშის მთავარი მიგნებების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, ადამიანის უფლებათა ცენტრი ატარებს პრეზენტაციას, რომელზეც მოწვეულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების წევრები, ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები, ჟურნალისტები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

V. *ადვოკატირება: შეხვედრები საჯარო მოხელეებთან*

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია მოიცავს, ასევე, შეხვედრებს საჯარო დაწესებულებების თანამშრომლებთან. შეხვედრები მიზნად ისახავს სხვადასხვა უწყებებისთვის და გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის მონიტორინგის შედეგების გაზიარებას და ადვოტაკირებას შეკრების უფლების დაცვის სტანდარტის ამაღლების მიზნით.

მონიტორინგის მიგნებების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციები ადრესატებამდე ეფექტურად რომ მივიდეს და მოხდეს მათი გათვალისწინება საჯარო პოლიტიკის შექმნისა თუ კანონშემოქმედების პროცესებში, აუცილებელია დიალოგი შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და მათთან თანამშრომლობის დამყარების მცდელობა.

VI. უსაფრთხოების წესები მონიტორებისთვის

აუცილებელია, აქციების მონიტორინგში ჩართულმა სამოქალაქო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ იმ თანამშრომლების წინასწარი მომზადება, რომლებიც უშუალოდ დაკავდებიან საველე სამუშაოთი. მონიტორების მხარდაჭერა საჭიროა არა მხოლოდ სამუშაოს დაწყების წინ, არამედ ეს განგრძობადი პროცესია და უნდა მოიცავდეს, ასევე, დახმარების საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაციის მზაობას როგორც უშუალოდ აქციების მიმდინარეობის დროს, ისე მათი დასრულების შემდეგ.

ქვემოთ შემთავაზებულია პრაქტიკული რჩევები მონიტორების ფიზიკური, ციფრული და ფსიქო-სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომელიც, ასევე, შეადგენს აქციების მონიტორინგის მეთოდოლოგიის ნაწილს.

a. ფიზიკური უსაფრთხოება

ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულმა რისკებმა შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს როგორც შეკრების თავისუფლების ეფექტურ რეალიზაციაზე, ისე აქციების მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობაზე. თუკი მონიტორებს წინასწარ არ აქვთ ინფორმაცია იმ ზომებთან დაკავშირებთ, რომელთა მიღებაც შესაძლებელია რისკების დასაზღვევად, მათ შესაძლოა ხელი შეეშალოთ მუშაობის პროცესში.

მონიტორების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა მოსამზადებელი სამუშაოების უდიდესი ნაწილი წინასწარ ჩატარდეს, რადგან მოქმედებების დანარჩენი ნაწილი, დიდწილად, დამოკიდებულია ყოველი აქციის დროს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და იმ მომენტში განვითარებული

მოვლენების დინამიკაზე. მაგალითად, აუცილებელია რისკების წინასწარ გათვლა, ვიდრე მონიტორები კონკრეტული აქციის დაკვირვებაზე დაიწყებენ მუშაობას.

მონიტორების უსაფრთხოებაზე უდიდეს გავლენას იქონიებს როგორც მათი ანალიტიკური უნარები, ისე ფსიქოლოგიური მზაობა და რისკების შეფასების უნარები. გასათვალისწინებელია, ასევე, მონიტორების ფიზიკური მზაობა - თუკი მონიტორებს აქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, რომელთა გამოც მათ შეიძლება აქციაზე საფრთხე შეექმნათ - მით უფრო, სპეციალური საშუალებების გამოყენებისას (მაგალითად, როგორიცაა - ცრემლსადენი გაზი, წიწაკის სპრეი, წყლის ჭავლი და ა.შ.), უმჯობესია, რომ ისინი არ დააკვირდნენ ისეთ აქციებს, სადაც არსებობს ასეთი საშუალებების გამოყენების რისკი. ამგვარი რისკის არსებობის შემთხვევაში, დაუშვებელია აქციაზე ისეთი მონიტორის გაგზავნა, რომელსაც აქვს ფილტვების ქრონიკული დაავადება, ასთმა, ან ჯანმრთელობის სხვა მსგავსი პრობლემები.

გარდა ფიზიკური მზაობისა, მონიტორები, ასევე, ფსიქოლოგიურად უნდა იყვნენ მზად იმ მოვლენებისთვის, რომლებიც შესაძლოა განვითარდეს აქციების მსვლელობისას. ამასთან, მათ გააზარებული უნდა ჰქონდეთ საკუთარი როლი - ისინი ადგილზე იმყოფებიან არა შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად, არამედ დასაკვირვებლად. შესაბამისად, მათ თავი უნდა აარიდონ აქციის ისეთ მონაწილეებთან ერთად გვერდით დგომას, რომლებიც აგრესიული საქციელით გამოირჩევიან. ეს შესაძლოა მათ აიგივებდეს აქციის მონაწილეებთან, რისი გამოყენებაც მოსალოდნელია პოლიციის მხრიდან ადმინისტრაციული დაკავების განსახორციელებლად. შესაბამისად, მონიტორები უნდა დისტანცირდნენ აქციის ასეთი მონაწილეებისა თუ ე.წ. პროვოკატორებისგან.

რისკები შესაძლოა, ასევე, მომდინარეობდეს კონტრ-აქციის მონაწილეებისგან, ვინაიდან მონიტორები, როგორც უფლებადამცველი ორგანიზაციების თანამშრომლები, შესაძლოა გახდნენ ძალადობის სამიზნე ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან. შესაბამისად, საჭიროა ინფორმაციის მოძიება (მათ შორის, ონლაინ წყაროებიდან) იმის შესახებ, თუ რამდენად ან/და ვის მიერ იგეგმება კონტრ-დემონსტრაცია, რათა შეფასდეს ძალადობის ესკალაციის რისკები. მონიტორინგის გუნდის იმ წევრებმა, რომლებიც უშუალოდ აქციაზე არ იმყოფებიან, გარედან უნდა ადევნონ თვალი რათა შეძლონ იმ რისკების შეფასება, რომელიც ხილული არ არის მონიტორისთვის. იმ შემთხვევაში, თუკი ძალადობის მაღალი რისკის არსებობის გამო საჭირო გახდება მონიტორის ევაკუაცია, ორგანიზაცია მზად უნდა იყოს ნებისმიერი ტიპის დახმარების გასაწევად, რათა უზრუნველყოს თანამშრომლის ფიზიკური უსაფრთხოება. ამ მხრივ, სამართალდამცავებთან კომუნიკაცია შესაძლოა გამოსადეგი

იყოს, მაგრამ, ზოგ შემთხვევაში - როდესაც მათ თანამშრომლობის სურვილი არ აქვთ - საპირისპირო შედეგიცაა მოსალოდნელი.

ანალოგიურად, მონიტორებისთვის მაიდენტიფიცირებელი ნიშნების გამოყენება შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში, რეკომენდებული იყოს. თუმცა, ისეთ დროს, როდესაც პოლიციის თანამშრომლები ანდა კონტრაქციის მონაწილეები მტრულად არიან განწყობილნი უფლებადამცველი ორგანიზაციების მიმართ, ასეთმა ნიშნებმა შესაძლოა მონიტორები თავდასხმის პოტენციურ ობიექტად აქციონ. შესაბამისად, თუკი ორგანიზაცია გადაწყვეტს მონიტორებისთვის მაიდენტიფიცირებელი ნიშნების გადაცემას, ასეთი ნიშნების მოხსნა მარტივად უნდა იყოს შესაძლებელი ნებისმიერ დროს.

აქციის გამართვის ტერიტორიაზე მონიტორის უშუალო ადგილმდებარეობა, შესაძლოა, იყოს ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკის წარმომქმნელი კიდევ ერთი ფაქტორი. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუკი დაკვირვების დროს მონიტორები დგანან ბნელ ადგილებში, ანდა პოლიციის კორდონის ხაზის წინ, მეტად მოსალოდნელია, რომ ისინი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. სასურველია, მონიტორები იდგნენ არა აქციის შუაგულში ან უშუალოდ პოლიციის თანამშრომლების წინ, არამედ - მოშორებით, სადაც მათ ნაკლები საფრთხე ემუქრებათ და, ამავდროულად, შეძლებენ მიმდინარე მოვლენებისთვის თვალყურის მიდევნებას. გასათვალისწინებელია, ისევე, ის, რომ არსებობს ჭყლეტაში მოყოლის შედეგად დაზიანების საფრთხე, რაც კიდევ ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ უნდა მოერიდონ მონიტორები ისეთ ლოკაციებს, სადაც აქციის მონაწილეთა დიდი რაოდენობაა კონცენტრირებული.

გარემოებათა მოულოდნელი ცვლილებების გამო, შესაძლოა პირველი გეგმა არ იყოს გამოსადეგი: მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუკი აქცია საქართველოს პარლამენტის წინ იმართება, გასასვლელ გზად შესაძლოა ჩაითვალოს ჩიტაძის ქუჩა, მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ ეს, ან სხვა გასასვლელი ჩაკეტილი იყოს პოლიციის ან კონტრ-დემონსტრანტების მიერ (ანდა, მაგალითად, შესაძლოა ისინი მობილიზებულნი იყვნენ ქაშვეთის ეკლესიასთან), რა შემთხვევაშიც საჭირო იქნება ალტერნატიული გეგმის ადგილზევე დასახვა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე.

სხვა საფრთხეებს შორის შესაძლოა, ასევე, იყოს ჯიბის ქურდობა, ანდა პირადი ნივთების დაკარგვის რისკი. შესაბამისად, სასურველია, მონიტორებს თან არ ჰქონდეთ ძვირადღირებული ნივთები (მაგალითად, სამკაულები, ლეპტოპები და ა.შ.); მობილური ტელეფონები შენახული უნდა იყოს ტანსაცმლის ისეთ ჯიბეში,

რომლიდან მისი დაკარგვის შანსიც ნაკლებია. ასევე, რეკომენდებულია, მათი თან ქონის შემთხვევაში, ტელეფონის, საბუთებისა და საფულის შენახვა წყალგაუმტარ ჩანთაში, სადაც ისინი არ დასველდება წვიმის, ან წყლის ჭავლის გამოყენების შედეგად. მონიტორებს, ისევე როგორც აქციის სხვა მონაწილეებს, თან არ უნდა ჰქონდეთ ისეთი ნივთიერებები და საგნები, რომელთა თან ქონაც შეკრებების დროს აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით (მაგალითად, ცივი იარაღი, წიწაკის სპრეი და ა.შ.).

რაც შეეხება საველე სამუშაოს შესრულების დროს მონიტორებისთვის საჭირო აღჭურვილობას - სასურველია, მათ თან ჰქონდეთ როგორც პირველადი სამედიცინო დახმარების საბაზისო ნაკრები, ისე შესაბამისი აღჭურვილობა, რომელიც მათ დაეხმარება სპეციალური საშუალებებისგან თავის დაცვაში ანდა ჯანმრთელობაზე მეთი ნეგატიური ეფექტების მინიმიზაციაში. თუმცა, აღჭურვილობა არ უნდა იყოს იმდენად მძიმე, რომ მონიტორმა ზედმეტი წონის გამო თავი არაკომფორტულად იგრძნოს. ამასთან, სასურველია, აღჭურვილობამ ზედმეტად არ მიიპყროს პოლიციელების და აქციის სხვა მონაწილეების ყურადღება.

ორგანიზაციებმა მონიტორებს წინასწარ უნდა მიაწოდონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შედეგები შესაძლოა მოყვეს ამა თუ იმ სპეციალური საშუალების გამოყენებას, და რა აღჭურვილობა იქნება გამოსადეგი თითოეული მათგანის გამოყენების შემთხვევაში ზიანის მინიმიზაციისთვის.

b. ციფრული უსაფრთხოება

გარდა ფიზიკური უსაფრთხოებისა, მონიტორებს სამუშაოს დაწყებამდე აუცილებლად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ციფრულ უსაფრთხოებაზეც. ეს მოიცავს, მათ შორის, ინფორმაციის მენეჯმენტს, კომუნიკაციის უსაფრთხო გზებისა და მობილური ტელეფონის ხმარებასთან დაკავშირებულ ზოგად წესებს კიბერ-უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მობილური ტელეფონისთვის Face ID-ს ანდა თითის ანაბეჭდით ბლოკის მოხსნის ფუნქცია სარისკოა, როდესაც აქციის მიმდინარეობისას მონიტორს აკავებენ და მისი ტელეფონი პოლიციის თანამშრომლების ხელში აღმოჩნდება. ასეთ დროს, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მობილური დაბლოკილია, მისთვის ბლოკის მოხსნა მარტივადაა შესაძლებელი Face ID-ს ანდა თითის ანაბეჭდის გამოყენებით. შესაბამისად, პერსონალური მონაცემები, კომუნიკაცია და ნებისმიერი ტიპის სხვა

ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მესამე პირებისთვის. ამ საფრთხიდან გამომდინარე, უმჯობესია, ბლოკის მოხსნა ხდებოდეს პასვორდით.

c. ფსიქო-სოციალური უსაფრთხოება

შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის დროს განვითარებულმა მოვლენებმა შესაძლოა სტრესული გავლენა იქონიოს იმ ადამიანებზე, რომლებიც უშუალოდ აკვირდებიან აქციებს. ამაში იგულისხმება არა მხოლოდ პოლიციის მხრიდან სპეციალური საშუალებების გამოყენების შედეგად მიღებული სტრესი, არამედ, ასევე, ის ნეგატიური ემოციური ფონი, რაც მონიტორებს შეიძლება შეუქმნას ბუნდოვანების, სამუშაოს შესასრულებლად მოუმზადებლობის განცდამ. აქედან გამომდინარე, მონიტორების ფსიქო-სოციალურ უსაფრთხოებაზე ზრუნვა იწყება არა აქციის მონიტორინგის შემდეგ, არამედ საველე სამუშაოს დაწყებამდე.

კერძოდ, სამოქალაქო ორგანიზაციები უნდა დარწმუნდნენ, რომ მონიტორებს გააზრებული აქვთ მათი ფუნქცია, როლი და ადგილი კონკრეტულ შეკრებაზე. თუკი მონიტორები თავს კომფორტულად არ გრძნობენ ამა თუ იმ აქციაზე, ასეთი სამუშაოს შესრულება შესაძლოა დამაზიანებელი იყოს როგორც მათთვის - ემოციურად, ისე - დამსაქმებელი ორგანიზაციისთვის.

იმისთვის, რომ მონიტორებმა სრულფასოვნად შეძლონ დაკისრებული ფუნქციების შესრულება, საჭიროა მათთვის წინასწარი ტრენინგის ჩატარება და ინფორმაციის მიწოდება, მათ შორის, ისეთ საკითხებზე, რაზეც მათ თავად მოუწევთ ყურადღების გამახვილება აქციების მიმდინარეობისას.

მონიტორებში უსაფრთხოების განცდის შესაქმნელად, უმჯობესია მათი დაწყვილება ორი ადამიანისგან შემდგარ ჯგუფებად (თუკი ერთ-ერთი მონიტორი შედარებით გამოუცდელია, იგი შესაძლოა იყოს უფრო მეტად გამოცდილი მონიტორის მეწყვილე). ამასთან, მონიტორები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ორგანიზაცია, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, ნებისმიერ დროს მზადაა მათ მხარდასაჭერად - მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, თუკი ისინი დააკავეს.

ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მონიტორებს ჰქონდეთ ორგანიზაციის ერთი კონკრეტული თანამშრომლის ნომერი, რომელიც არ იმყოფება აქციაზე და რომელიც შეძლებს მათ დახმარებას. ინფორმაციის გაცვლა მუდმივად უნდა ხდებოდეს მონიტორებსა და მონიტორინგის გუნდის ხელმძღვანელს შორის, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო რეაგირება ორგანიზაციის მხრიდან.